# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 5—73.

ყოველდღიური გაზეთი — კვირა. მარტი 28 1920 წ. № 67 — ფასი 5 მან.



კინემატოგრაფი „მონიტორი" — მარტის 28, 29 და 30-ს

ნამდვილი ალი ნაცარი
ც ე ც ხ ლ ი

დრამა 4 დიდ ნაწილად. მთავარ როლში
ვინა მინიშელლი
და მარიო ფ ბო — დასაწყისი 6 ს.



— სააღდგომოდ —

კონიაკი პურისა და ნატურალი ვაზის არაყი;
დისერტის ღვინოები: პორტვეინ, მადერი და სხვა და სხვა წარმოებანი საზო—ბა მეგობრთა „ქარხანა"

„უნიონი"

აწყობს ყველას
ვალკერ და კ-ოს წარმომადგენლები. მიხეილის პრო. № 84. ტელ. 19-65. 3023 3-1


ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ანნა ზაქარიას ასული ბუტულაშვილისა შვილები: ნიკოლოზ, რუბენ და ალექსანდრე და ძმები ზაქარია და გრიგოლ სოლომონის ძე ბუტულაშვილები მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს რომ დღეს მარტის 28 კვირას გარდახდილი იქნება ერთი წლის შესრულების წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის განსვენებულის

ივანე სოლომონის ძე ბუტულაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება სრულ 11 საათზედ პანაშვიდი 12 საათზე სომეხთ წმინდა გეორგის ეკლესიაზედ. ქუთაისში.
1—3014 1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ოლღა გოლოვაშკინისა და ნინო, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარი მამის გარდაცვალებას

ალექსანდრე ბადრიძესი,

გამოსვენება მოხდება 28 მარტს დილის 8 საათზე საკუთარ სახლიდან ჩერქეზიშვილის ქუჩა ავჭალის შესახვევი № 6 წირვა საბურთალოს წმ. გიორგის ეკლესიაში და იქვე დასაფლავდება.
1—3029—1

დედა ნატო, მეუღლე ნინო, შვილები სოფიო და კოწია, ძმები ლუარსაბ, სვიმონი და ლევანი, დები ეკატერინა, ელენა და მარიამი, რძლები ნადია ანასტასია და ბაბილინა, სიძეები იოსებ გუნცაძე ვლადიმერ ამაშუკელი და დავით მესხი აუწყებენ ყველა ნაცნობთ ნათესავთ და მეგობრებს უდროვოდ გარდაცვალებას

ნიკოლოზ (კოლა) გურგანიშვილის

დაკრძალვა დღეს კვირას დაბა სურამში.
1—3026 1

სახელმწიფო თეატრი
ევლახიშვილის ხელმძღვანელობით
დღეს, კვირას მარტის 28-ს
დილით
პიკის ქალი
საღამოთი
ტოსკა

ქართული კლუბი

კვირას, 28 მარტს, 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის სასარგებლოდ გაიმართება

სალიტერატურო დილა

I

ვახტანგ კოტეტიშვილის

ლექცია:

„უგზოობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში"

შინაარსი: 1. ევროპის ტყვეობაში. 2. ლალატი. 3. მონანიება. 4. გზები იყრებიან. 5. ვინ გაიმარჯვებს. 6. რუბიკონი. 7. ასე ბრძანებს საქართველო.

II

კაზმული სიტყვა.

მონაწილეობენ: დუტუ მეგრელი, პ. იაშვილი, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ლ. ჯაფარიძე, თაგუნა, გ. ტაბიძე, ი. მჭედლიშვილი, გ. ლეონიძე, კ. ჭიჭინაძე, ი. გრიშაშვილი, ვ. რუხაძე, ტ. ტაბიძე, გ. ციცქიშვილი, ობოლი მუშა, მარიჯან. სალიტ. წრის წევრები: ს. აბულაძე, ილ. სიხარულიძე, ი. გოგია
ბილეთები იყიდება სტუდენტთა სასადილოში, უნივერსიტეტის საჩაიეში, იმ დღეს-კი ქართულ კლუბის თეატრის კასსაში. გამგე—დილის მომწყ. კომისია.
3018 2—1

მეორე ქართული კლუბი

კვირას, 28 მარტს დილის 10 საათზედ დანიშნულია კლუბის წევრთა

წლიური საზოგადო კრების

გაგრძელება. 59 1—1

სახალხო განათლების სამინისტრო

ამით აცხადებს

სტამბების, ლიტოგრაფიებისა, მეტალოპლასტიკისა და ყოველივე საბეჭდავი ნაწარმოების

პატრონთა საყურადღებოდ

რომ თუ ისინი სავსებით არ დაიცვენ დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 16 დეკემბერს მიღებულ კანონს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მთავრობისადმი წარდგენის შესახებ და ამას გარდა დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ერთი კვირის განმავლობაში არ წარმოადგენენ, კანონის გამოქვეყნების შემდეგომ მათ საბეჭდავიდან უკვე გამოსულ ბეჭდვითი ნაწარმოებებს 12 ცალად და კვალადაც გამოცემისათანავე გასასყიდად გამოსვლამდე არ წარმოადგენენ თავიანთ ნაწარმოებს—მიცემულნი იქნებიან პასუხის გებაში კანონში მოხსენებულ მე 5 მუხლის თანახმად (3,000 მანეთით ჯარიმა ან სამი თვით ციხე).
60 1—1

კვირას 7-ს მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი"

„სასოფლო გაზეთს" აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მეხაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობს იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს" ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. რედაქტორი ნიკო კაიშაური 4—3—17



პირველ-ხარისხოვანი
ცირკი „კრისტენს"
ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.
დღეს, მარტის 28 ს 1920 წ.
შესდგება
გრანდიოზული სადღესასწაულო წარმოდგენა
საუკეთესო ძალებისა და იაპონიელ აკრობატების დასის ნაწილის ახლად ჩამოსულ მ... მონაწილეობით.
ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატი მსოფლიო ფალავნის სახელწოდების მისაღებად: 1. ახალგაზრდა ლამაზი მოჭიდავე ჯიოვანი და საქართველოს ჩემპიონის მოჭიდავე კანდელაკი ჯიოვანი—კანდელაკი, 2. მოჭიდავე და მოკრივე ამერიკელი ვესტერგარდი—უან-დე კალონ, 3. შავი ნიღაბი—სტაროშვილი.
ანონსი: ამ დღეებში შესდგება ცნობილ პოლონელ ფალავნის კალიშევიჩის ბენეფისი.
გამგე: იურიევი.

დღეს
მიხეილის
ალკრა ი
პლეხანოვის ქ. 91

სუბუქი ჟანრი, ახალი ნომრები თბილისისათვის. 2 ინსცენიროვკაში.

1 იზა კრემერ „შავი ტომი"
„ტომი იყო მკვირცხლი ბავშვი და საჩაიე მაღაზიაში მსახურობდა".

2 ვერტინსკი
„სოსანი ზანგი"
„სადა ხართ ეხლა? ვინ მკოცნით თითებს,
საით გაგიქრათ ან ჩინელი ლი?
გიყვარდათ შემდეგ პორტუგალიელი,
ან მალიელი ალპად გადიდებს?"

სიმფ. ორკესტრის მუსიკალ. ილუსტრაციით
ბავშვებს და მოწაფეებს არ დაუშვებენ.
ფასები აწეული არ არის
სურათი იდგმება ა. ვერტინსკის და ვლ: ვეკილერის სიმღერებით.
ანონსი: ორშაბათიდან გრანდიოზული სურათი დიდებულ კომპოზ. ბეტჰოვენის ცხოვრებიდან.
3021—1 1

თბილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების ჩვეულებრივი

წლიური კრება

დანიშნულია 28 მარტს დილის 11 საათზე, ნაცვლად 12 მარტს დანიშნულ კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა,
განსახილველი საგნები:
1. გამგეობის მოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4. 1920 წლისათვის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. არჩევა: გამგეობის თავმჯდომარის მორიგეობით გასულ გ. რ. ყიფიანის სამაგიეროდ; გამგეობის წევრთა მორიგეობით გასულთ: ვ. ლ. მაჭავარიანისა და ალ. ხარაევის მაგიერ; სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათ კანდიდატებისა.
ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება.
2961 1—1



ქიმერიონი
(რუსთაველის პრ., 23,)
ყოველ დღე 1—5 საათამდე.
სადილები
კვირას მარტის 28-ს
ლიდია ჯონსონისა და კონსტანტინე ალპეროვის
მე-8 მე გასტროლი
თვითეული გასტროლი—ახალი ცეკვა. ბოშათა გუნდი დიმიტრი ფისენკოს. სალონის ცეკვა ტრუზი—ველტე, იუმორისტი ბელსკი და სხვ.
ანონსი: ორშაბათს მარტის 29-ს
ლიდია ჯონსონის და კონსტანტინე ალპეროვის
უკანასკნელი გასტროლი
გრანდიოზული პროგრამა.

თბილისის ქალაქის საბჭოს

საარჩევნო კომისია

ამით აცხადებს

რომ 27, 28 და 29 მარტს მოხდება დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები დიდუბეში მე 50 ე საარჩევნო უბანში, მე-12 უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე, ელისაბედის და გლდანის ქუჩების კუთხე. 57 3—1

პირველხარისხოვანი რესტორანი
„მტკვრის-პირას"
ვორონცოვის ძეგლთან. ტელ. 11 53.
ევროპიული და აზიური კერძები
ადგილობრივი და საზღვარგარეთული სასმელები საუკეთესო ფირმებისა და მარკისა.
შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ ნადიმ-ზეიმისა.
რესტორანში მოწყობილია საუკეთესო ახლად შეკეთებული მყუდრო
საოჯახო დარბაზები
რესტორანი ღიაა დღის 10 ს. ღამის 2 საათამდე.
3004 10—2
პატივისცემით დირექცია.

# ხაღმშენებლო-ტეხნიკური კონტორა და მექანიკური სახელოსნო „გნომი“

ანდრონიკაშვილის ქუჩის კუთხე № 21 სახლის № 2 ტელეფ. 14-86.

ტუმბო ცენტრიდანული ერთი და მრავალი დანაყოფიანი, ღრმულის და ლითონისაგან.

ელექტრო-მოტორები 3 და 40 ძალის.

ჩარხები: სახვრეტელი, სახარატო სამარტყელის და ლითონის სახერხი ჩარხი.

ნაჭედები:

ცულები ბორკლი, ცულები და წერაქვები.

მარტყელები ლითონის მოსაჭრელად.

სარაჯები.

მანქუშები: გამარიდებლად შავები 12—25 ძალისა.

ნავთის მოტორები 12 და 30 ცხ. ძალის ფერადის დიდ-
3022 1—1 ძალი რკინა, თუჯი, ლოკომობილი 18 ძალის.

## დღეს:

ინგლისელებმა გენ. იუდენიჩი შეიპყრეს.
მწვავე ბრძოლა ბოლშევიკებს შეუტევს.
ელჩთა კონფერენციამ სომხეთის საკითხი განიხილა.
უკან დახევით მოხალისეებმა დაიჭირეს.
სამხრეთ ჯარებმა ნოვოროსიისკთან უტევს.
ბოლშევიკებმა ქალაქი გროზნო და მაიკოპი აიღეს.

## წერილები:

მეთაური—ბათომის ოლქში.
ი. ყიფშიძე საქართველოს ეკონომიური წარმომადგენლობა ევროპაში.
— საქართველოს ეკლესია.
ავ. აბესაძე—აჭარა.
— ვაჭრობა-მრეწველობა.

# ბათომის ოლქში

ჩვენი მკითხველები გაეცნობიან იმ ფაქტებს, რომელნიც გამოაქვეყნა გაზ. „სამუსლიმანო საქართველომ“ აზერბაიჯანის აგენტების მუშაობის შესახებ ბათომის ოლქში. ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ ცნობებს ამავე საქმის შესახებ, რომელნიც გამოქვეყნებულნი იყვნენ ჩვენს გაზეთში ბათომელ კორესპონდენტის მიერ. და ეს ცნობები უკვე აშკარად ჰყოფენ ჩვენი მოკავშირეს მოღალატურ და პროვოკაციულ მოქმედებას. უკვე ალარავისთვის საეჭვო აღარ არის, რომ აზერბაიჯანმა ნიღაბი ჩამოიხსნა და უტიფრად რაზმავს ჩვენს საწინააღმდეგო ძალებს!

რისი იმედი აქვთ ამ ავანტიურაში? ნუ თუ მართლა შესაძლებელია ისეთი უტოპიის განხორციელება, როგორც „დამოუკიდებელი აჭარისტანია“, რომ ასეთი ფუქსავატი განზრახვისათვის, ჩაიშალოს ის კავშირი, რომელიც ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის დამყარდა და რომლის სიმტკიცეზედ, ჩვენი მეზობელი დღესაც განაგრძობს ლაპარაკს! მაგრამ ჩვენს მოკავშირეს სრულებით სხვა განზრახვა ამოქმედებს, რაც ჩვენთვის უკვე სავსებით ნათელია და რაც სასტიკად გვავალებს დროზედ გავახილოთ თვალები მოსალოდნელ საფრთხის ასაცილებლად.

როგორც არა ოფიციალ ცნობებიდან ვიცით, გუშინ წინ თბილისში ჩამოსულ ბათომის გენერალ გუბერნატორი კუკ კოლის მოუთხოვია ბათომის ოლქიდან ჩვენი ჯარების გაყვანა, ჩვენი აზრით ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია, რადგან იგი, ისედაც გამწვავებულ აგიტაციას საქართველოს წინააღმდეგ, კიდევ უფრო გაამწვავებდა და არც თვით ინგლისის სარდლობა ! დარჩებოდა კმაყოფილი შექმნილ მდგომარეობით.—ეს მდგომარეობა კი ინგლისის სარდლობის წინაშე. ბათომის ოლქს გაშლის სისხლის ღვრის და ანარქიის ასპარეზად, რადგან საქართველო უბრძოლველად ვერ დასთმობს თავისი მიწა წყლის იმ ადგილს რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია და მისი არსებობისათვის სასიცოცხლო ინტერეს წარმოადგენს.

# საქართველოს ეკლესია

დღეს, სამი წელი შესრულდა, რაც საქართველოს ეკლესია განთავისუფლდა რუსეთის მონობისაგან და თავისი ავტოკეფალიობა განაგრძო.

საქართველოს ეკლესიას ბრწყინვალე ისტორია აქვს და წარსულ საუკუნეთა სვლაში მაღლად ეპყრა წმინდა დროშა საეკლესიო კულტურული და სულიერი სიამაყისა; და დღესაც როგორი აზრისაც არ უნდა იყვნენ საზოგადოდ ეკლესიაზედ, არ შეიძლება მოწიწებით არ მოვიხსენიოთ ის ღვაწლი, რომელიც თავის ერის წინაშე მიუძღვის ქართველ სამღვდელოებას: მაშინ როდესაც მოდუნებული იყო ეროვნული გრძნობა და დამონებული ჩვენი სამშობლო მძიმე ულლის ქვეშ დრტვინავდა ქართველი სამღვდელოებაში ნამდვილი პატრიოტული სული ღვიოდა და მედგარ ბრძოლას აწარმოებდა თავისუფლებისათვის.

1917 წელს ეკლესიის განთავისუფლება იყო პირველი თავის ამართვა ეროვნული სულისა და კათალიკოსის თავზედ მბრწყინავი ძველი ქართული გვირგვინი იყო გვირგვინი ქართული სიამაყის, და წარსული საუკუნეთა დიდების და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განთავისუფლების წინამორბედი.

დღეს საეკლესიო ცხოვრება უკვე იმ ხანაში გადადის, როდესაც მან მხოლოდ თავისი პირდაპირი საქმე უნდა შეასრულოს და ეკლესიის საქმეებზედ იზრუნოს. ჩვენი ვალია, ვინც ამ ეკლესიის ვეკუთვნით და მის რწმენაში აღვზრდილვართ და ვიზიარებთ, მივიდეთ დამხმარე ხელით ქართველ სამღვდელოებასთან და მივცეთ მას საშუალება პირნათლად აასრულონ თავისი მოვალეობა.

როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოება მოვალეა იზრუნოს მისთვის, რომ ქართველ მორწმუნეთა გრძნობები შელახული არ იქნენ მით, რომ ღვთისმსახურებას სათანადო პირობები არ ექმნესთ თავის სამსახურისთვის.

# საქართველოს ეკონომიური წარმომადგენლობა ევროპაში

წარსული წლის განმავლობაში საქართველოდგან საზღვარ-გარედ, ევროპაში, გაიგზავნა საკმაო რიცხვი, ეგრედ წოდებულ, ეკონომიურ აგენტებისა ზოგი მათგანი ეხლაც იქ არის, ზოგი დაბრუნდა, ზოგი ხელმეორედ წავიდა და ზოგიც ეხლა ემზადება წასასვლელად.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლობა ევროპაში დიპლომატიური თუ ეკონომიური, სრული და საკმაო იყვეს (ლიონზე აქ არ ვეხებით), მაგრამ, მაინც დღევანდლამდე ჩვენ ჰყავდა იქ, რამოდენიმე ასეთი აგენტი.

დღეს კიდევ ვიცით, რომ დამფუძნებელ კრების მიერ გადადებულია 20 მილიონი მანეთი ევროპაში კომერციულ და ეკონომიურ სააგენტოების მოსაწყობათ.

აქამდე, ეკონომიურ აგენტებად ინიშნებოდნენ ხოლმე, მომეტებულ ნაწილად, ინჟენრები, ეკონომისტები თუ საერთოდ კომერსანტები და იგზავნებოდნენ ხან მთავრობის ხარჯით, ხან რომელიმე სამინისტროს, ან სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ, ან ცალკე საზოგადოებების ხარჯით. ცხადია მხოლოდ, რომ ვისი თაოსნობითაც უნდა იყვნენ გაგზავნილნი ისინი, ჩვენს სახელმწიფოს მაინც კარგა ფული უჯდება მათი იქ შენახვა რამდენიმე თვეობით და მთელი წლობითაც კი; ამიტომ საზოგადოებას უფლება აქვს მოელოდეს შესამჩნევ შედეგებს ასეთი სასარგებლო ინსტიტუტის მოქმედებისას.

აქამდე საზოგადოებას არ გაეგონა რამ ასეთი მათი ნაყოფიერი მუშაობის შესახებ, მცირე გამონაკლისს შეადგენს ზოგიერთი აგენტის სიტყვიერი მოხსენება თავის შთაბეჭდილებების შესახებ. იქნება ზოგი მათგანი ურიდგენს მთავრობას თავიანთ შინარსიან და ვრცელ მოხსენებებს, მაგრამ რადგანადაც ვიცით ესეც იშვიათია და საჭიროებას ეს ვერ დააკმაყოფილებს სამაგიეროდ მომეტებულ ნაწილის საზღვარ-გარედ ყოფნა მის უბრალო მოგზაურობას წააგავს და არავითარ კვალს მისი მოქმედებისას, მუშაობას არ სტოვებს.

ჩვენ გვგონია, რომ საზღვარ-გარედ გაგზავნა ეკონომიურ აგენტებისა ფრიად სასარგებლოა ჩვენთვის (და მათვისაც, ვინც მიემგზავრებიან) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მუშაობენ იქ გარკვეული გეგმით და პერიოდულ ანგარიშებს უდგენენ აქ მომქმედ დაწესებულებათ. ჩვენი აქაური მეცნიერება და ტეხნიკა კარგა ხანია მოკლებულია ცნობებს, თუ რა კეთდება ტეხნიკის ამა თუ იმ დარგში დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. ომამდე ჩვენ მოგვდიოდა აუარებელი ჟურნალ-გაზეთები და სხვა და სხვა პერიოდული გამოცემები, თუ თვით სამრეწველო და სავაჭრო ფირმების პროსპექტები. ამით ჩვენც მივსდევდით ტეხნიკის პროგრესს და შემოგვქონდა ევროპის პრაქტიკულად ნაცადი გაუმჯობესება ჩვენს მოქმედებაში. და სწორედ ომიანობის ხანაში, როდესაც ტეხნიკამ უზომო წინსვლა გააკეთა თითქმის ყველა დარგში, ჩვენ სრულიად ჩამოვშორდით ევროპის ტეხნიკურ საქმიანობას და აგერა ექვსი წელიწადია კარები ჩაკეტილი გვაქვს მეცნიერებასა და პრაქტიკისაკენ.

[illegible] მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს ტეხნიკოსთა, ვაჭარ-მრეწველთათვის და ევროპის ტეხნიკის და მრეწველობის ახლო წარსულ მდგომარეობის და აწინდელი ვითარების სალი და ღრმა ანალიზი.

ამ დროს, ჩვენი ბედნიერი ამხანაგები იგზავნებიან სახელმწიფოს ხარჯით ამ ტეხნიკის და მრეწველობის გასაცნობად და შესასწავლად. და რასაკვირველია, შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ ამ მოგზაურობის შემდეგ ისინი ბრუნდებოდნენ სამშობლოში მხოლოდ ყვითელი „ჩამადნებით“ და კოხტა „გალსტუკებით“—ეს არ იქნებოდა სამართიანი არც მათთვის, ვინც ეს აგენტები გაგზავნა და არც მათთვის, ვინც სახელმწიფო ხარჯით ისარგებლა და თავისი პრივილეგიური მდგომარეობით არ ისარგებლა და ჩვენ ხალხსაც ანგარიში არ გაუწია.

ჩვენი აზრით ვინც უნდა გზავნიდეს ევროპაში თავის ეკონომიურ აგენტებს მთავრობა, ცალკე სამინისტროები, ვაჭარ-მრეწველთა პალატა თუ რომელიმე საზოგადოებრივი დაწესებულება, საჭიროა, რომ აგენტებს ჰქონდეთ მიცემული გარკვეული დირექტივები, რამდენადაც შეიძლება კონკრეტიულ საკითხებად დასახული. ყველა დავალებასთან ერთად მათ უნდა ჰქონდეთ ვალდებულება თავის მოქმედების ანგარიშების წარდგენის ეს ანგარიშები შეიძლება იქიდგანაც იგზავნებოდეს პერიოდულად და აქ და დაბრუნებისასაც უნდა წარედგინებოდეს ჩვენს დაწესებულებებს და სპეციალ საზოგადოებებს წერილობით, ყოველნაირ პროსპექტებით და კატალოგებით, ცხრილებით, დიაგრამებით, სურათებით და სხვა.

იყო შემთხვევა, რომ ზოგიერთმა აგენტმა კიდევაც იუკადრისა, როდესაც ვსთხოვეთ (და არა მოვსთხოვეთ), მაგალითად ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში, წაეკითხნა მოხსენება თავის მუშაობის თუ საერთოდ შთაბეჭდილებების შესახებ მაინც, რადგან მას ისე ჰქონია თავისი მისია წარმოდგენილი, რომ მან უნდა იყიდოს რამდენიმე წიგნი თუ მანქანა, რომელიმე ორგანიზაციის ან უწყების დავალებით, რომელიმე ფირმისათვის ან თავისთვისაც იყიდოს სავაჭრო საგნები და ასე დაბრუნდეს თბილისში. გვინდოდა გაგვეგო ევროპის ზოგიერთი დიდი ფირმების მუშაობის შესახებ, რა მანქანების გამოწერა და რა პირობებშია შესაძლებელი, ან რა სამრეწველო იარაღი შეიძლება დამზადდეს ამა თუ იმ სახელმწიფოში უფრო ხელსაყრელად, მაგრამ პასუხები ვერა მივიღეთ; ზოგმა სთქვა—ეს კარგად აღარ მახსოვსო, ზოგი დაგვპირდა შეგატყობინებო, ზოგმა გვითხრა მისამართები მაქვს, მაგრამ სადღაც ქაღალდებშიაო. და მოგცემო, ან დამეკარგაო და სხვ.

რომ ყოველივე ეს აღარ განმეორდეს, რომ დროც და აუარებელი ფულიც უკეთ იხარჯებოდეს, საჭიროა ანგარიში გაუწიოთ ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და ახლად გასაგზავნ, აგრედვე ევროპაში მყოფ ჩვენ ეკონომიურ აგენტებს გარკვეული გეგმა მივსცეთ და მათი მუშაობისა და ანგარიშები მოვსთხოვოთ მოქმედებაში.

ვინც გზავნის, აგენტებს იმან ეტყობა უკეთ იცის, რომ მათი გაგზავნით, აქ ადგილობრივ ჩვენი რესპუბლიკის ისედაც მცირერიცხოვან ტეხნიკურ და ეკონომიურ ძალებს დააკლდება მათი აქაური ნაყოფიერი მუშაობა. იცის ისიც თუ რისთვის გზავნის ამ აგენტებს და რისთვისაც ხარჯავს ფულს მათი ევროპაში შესანახათ; რამოდენიმე და აუცილებელ ცნობაკი იმის, თუ რა საჭიროება დღეს საქართველოს ტეხნიკურ მუშაობაში საჭიროა გაიგონ ჩვენ სპეციალ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საზოგადოებებში.

ინჟ. იგ. ყიფშიძე.

# მდგომარეობა გერმანიაში.

(საქ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი, 26 მარტის ც. ა. ქ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**რურის ოლქში**

ლონდონი 24 სრულიად რურის ოლქში, რომელიც მუშათა ხელშია, სრული წესრიგი მეფობს. ნახშირის დამუშავება უკვე განახლებულია.

**ელჩთა საბჭო და ებერტის მთავრობა**

ლიონი, 24 ელჩთა საბჭომ დაადგინა მიმართონ ებერტის მთავრობას წინადადებით რათა მან სპარტაკელებთან მოკავშირეთა მიერ მისაღები შეთანხმება მოახდინოს. თუ ებერტის მთავრობამ ვერ შესძლო ასეთი შეთანხმების მიღწევა, მაშინ მას უფლებას მისცემენ, რურის ოლქში სპარტაკელების საწინააღმდეგოთ გაგზავნოს საჭირო რიცხვი ჯარისა. თუ მთავრობის ჯარი დამარცხდა, მაშინ გენ. ფოშს წინადადებას მისცემენ მოკავშირეთა ჯარით შეუტიოს, რათა აიძულოს გერმანია ხელშეკრულების პირობა აღასრულოს, რომელიც რურის ოლქიდან ნახშირის გამოტანას ეხება, რურის დასაჭერათ გერმანიის მთავრობას დაახლოებით დასჭირდება 100000 ჯარის კაცი. ამ გვარად, ამ ციფრს თუ მოუმატებთ რევოლიუციასთან საბრძოლველად საჭირო ჯარის რიცხვს, გერმანიის არმიის საერთო რაოდენობა ხელშეკრულობის ძალით ნებართულ 200000 კაცს გადააჭარბებს.

**ებერტის მანიფესტი.**

რეველი. 28. გამოქვეყნებულ მანიფესტში ებერტი სწერს: „ლიუტვიცი და კაპპი ძარცვა-გამცემობისგან განზოგებულ იქმნენ. სამეურნეო ცხოვრება, კვლავ აღდგენილი უნდა იქნეს. ამისთვის საჭიროა, მუშებმა უარი განაცხადონ საერთო გაფიცვებზე. ქვეყნისათვის მთავარი, საჭიროება ეს ნახშირის დამუშავება. მთავრობამ მთელის ძალით ხელი უნდა შეუწყოს მუშაობის განახლებას. მას თავის წმინდა მოვალეობათ მიაჩნია სასტიკად დასაჯოს ხალხის მოღალატეები, რომელნიც გამოიწვიეს საერთო გაფიცვები რეიხსკანცლერის მოადგილემ, შიფერმაც, გამოაქვეყნა მანიფესტი გერმანიის ხალხის მიმართ, რომელშიც ნათქვამია: „ქვეყნის ჩაქრობილია ქვეყნის მეურნეობა კვლავ საგრძნობლად დაზარალდა. მთავრობა მოუწოდებს გერმანიის ხალხს მუშაობის გასანახლებლათ.

**ბალტიის რკინის დივიზიაში.**

რეველი. 24. გაზეთების ცნობით თებერვლის დასასრულს ბალტიის რკინის დივიზიაში ითვლებოდა 8 ათას გერმანელზე მეტი და 6 ათასი რუსი. ბერმონტ-ავალოვის ჯარი 15 ათასი კაცისაგან შესდგებოდა რომლის ნაწილი ბერლინის კონტრ-რევოლიუციას იცავდა.

**მოკავშირენი და რურის ოლქი.**

მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გერმანელებს ამ ჟამად ნება არ დართონ, რომ მან რურის ოლქი ჯარით დაიჭიროს.

**ბარტუ გერმანიისა და რუსეთის შესახებ.**

ბარტუმ პალატაში ილაპარაკა გერმანიისა და რუსეთის შესახებ. მან განაცხადა: გერმანიამ არ გამოიჩინა ხელშეკრულების ასრულების სურვილი. ჩვენ ისეთი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ გერმანიის მიმართ, რომ მან შეძლება მივცეთ სამაგიერო გადაგვიხადოს ისე, როგორც ამას ხელშეკრულება გვიჩვენებს ჩვენ მოვალენი ვართ ვაწარმოოთ ასეთი პოლიტიკა სამართლიანობისა და ჩვენი საკუთარი ინტერესებისათვის. გერმანია ჩვენი მოვალეა და ჩვენ უნდა ვზრუნველყოთ იმის მდგომარეობა, ვისაც ჩვენი ვალი მართებს. მოკავშირეებმა მიიღეს ეს პოლიტიკა გერმანიის მიმართ. 1919 წ., იანვრიდან ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ გერმანიამ შეასრულოს თავის დაპირება. ჩვენ არ ჩავერევით გერმანიის პოლიტიკაში როგორიც უნდა იყოს ეს პოლიტიკა მაგრამ ეს კი ცხადია რომ ამ ქვეყნის მთავრობა რა სახისაც უნდა იყოს იგი ერთსა და იმავე გზას ადგია ჩვენ შესახებ. არ აასრულებს ხელშეკრულობას და მოითხოვს მის ხელმეორეთ განხილვას ორატორმა გაიხსენა გერმანიის წინააღმდეგობა ომის კანონების დარღვევა გაცემაზე, ის თავდასხმები, რომლის მსხვერპლს წარმოადგენენ მოკავშირეები, ნახშირის მიუწოდებლობა და იარაღის აყრის პირობის აუსრულებლობა, შემდეგ ბარტუმ ილაპარაკა მოკავშირეთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ მარშან გვეუბნებოდნენ, განაცხადა მან, რომ შეერთებული შტატები ხელშეკრულობის რატიფიკაციას მოახდენს.

# უცხოეთი

## სომხეთი

**სომხეთის საკითხი ელჩთა კონფერენციაზე.**

(საქ. დეპ. სააგ.)

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ელჩთა კონფერენციამ, რომელიც ხუთშაბათს ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, განიხილა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც კერძოთ სომხეთს შეეხება.

## რუსეთი

**ბოლშევიკების ცნობა.**

(საქ. დეპ. სააგ.)

უკანასკნელი ოფიციალური ცნობების მიხედვით დაჭერილია მაიკოპი და გროზნო ცნობილი ნავთის სამრეწველოები. ნოვოროსისკის ჩრდილო დასავლეთით 20 ვერსზე აღებულია სტანცია ნატუხარიცკაია.

სამხედრო ცნობა 26. დასავლეთის ფრონტი.. ოვრუჩ კოროსტენის რაიონში კოროსტენი სარნის რკინის გზასთან ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლეტიჩევის ჩრდილოეთით 25 ვერსზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. პოდოლიის კამენეცის რაიონში ქვემეშიცის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა.

**სამხრეთის ფრონტი.** პერეკოპის ჩრდილოეთით მტრის თვალსაჩინო ძალებთან ჩვენს ჯარს ბრძოლა აქვს.

**კავკასიის ფრონტი.** ჩვენი ჯარი ნოვოროსისკს უტევს. ეკატერინოდარის რაიონში ჩვენი ჯარი სლავ. კრიმსკაიას უახლოვდება.

**გენ. იუდენიჩის დაპატიმრება ინგლისელების მიერ.**

ბოლშევიკური რადიო პსკოვიდან შემდეგს გადმოგვცემს:

„დანციგერ ცაიტუნგი“ იუწყება, რომ ქ. რიგაში ინგლისის მისიის მოთხოვნით დაუპატიმრებიათ გენერლები იუდენიჩი, გლაზენაპი და ვანდამი, რომელნიც გერმანიაში გადასვლას აპირებდნენ.

## საფრანგეთი

**საფრანგეთის კომერციული მდგომარეობა**

(საქ. დეპ. სააგ.).

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის 1920 წლ. იანვრის და თებერვლისთვის საერთო სტატისტიკა აღნიშნავს, რომ კომერციული მდგომარეობა შესამჩნევათ გაუმჯობესებულა. პირველად, დიდი ხნის განმავლობაში გატანა აღემატებოდა შემოტანას, ასე რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 1920 წ. პირველი ორი თვეში იყო 257 მილიონით ნაკლები ვიდრე 1919 წლის ორი თვის დეფიციტი. საფრანგეთის საგარეო ვაჭრობამ მიაღწია 1344 მილიონს. ყველაზე მეტი გაიზიდა დამზადებული საქონელი. 1919 წელში გატანილი იყო 462 მილიონის საქონელი, 1920 წ. გატანილის რიცხვმა მიაღწია 1182 მილიონს. ე. ი. 180 მილ. მეტი.

**საფრანგეთი და ვერსალის ხელშეკრულება.**

მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ დიდი კამათი დაიწყო ხუთშაბათს მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლუი ბარტუს სიტყვით. ბარტუ ამტკიცებდა (მთელი პალატის ტაშის მოწმობით) რომ საფრანგეთს სურდა ვერსალის ხელშეკრულების უკლებლივ ასრულება. მას სურდა, რომ გერმანიის მთავრობას როგორც კი არ უნდა ყოფილიყოს ის, აესრულებია თვისი მოვალეობანი და დაპირებანი, რომელიც ის ამ დრომდე გვერდს უვლიდა.

## რუმინია

(საქ. დეპ. სააგ.)

**უნგრელთა შეთქმულება.**

„სვაბოდა როსსის“ ცნობით ბუქარესტში აღმოაჩინეს უნგრელთა ახალი შეთქმულება. დაპატიმრებულია 11 მადიარი, რომელიც საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა. აღმოაჩინეს იარაღი და პროკლამაციები.

# სომხები და ბოლშევიკები

სომხების ნოვოროსიელი კონსული თავის მთავრობას აუწყებს, რომ ბოლშევიკების მთავრობა სცნობს როსტოვში სომხეთის საკონსულოს, რომელიც მოქმედებას განაგრძობს. ჩალხუშიანის შუამდგომლობით სომხეთის ქვეშევრდომთ საბჭოთა მთავრობა სამხედრო ბეგარისაგან ანთავისუფლებს.

# ახალი ამბები

## მთავრობაში

**შუამდგომლობა ახალქალაქში დასახლების შესახებ.**

ბაკურიანის ხეობის 35 კომლმა შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა ისინი ახალქალაქის მაზრაში დაასახლონ, ვინაიდან ეხლანდელ ადგილზე მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიან. სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას.

**პირდაპირი გადასახადების ზოგიერთ ცვლილების კანონ-პროექტი.**

მარტის 24 ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის საბჭომ განიხილა პირდაპირი გადასახადების სისტემაში ზოგიერთ ცვლილების შეტანის საკითხი. ამ სხდომაზე მოასწრეს კანონ-პროექტის მხოლოდ ის ნაწილები, რომელიც შეეხება სახელმწიფო საადგილ-მამულო, საქალაქო უძრავ ქონებაზე სამრეწველო გადასახადების და აგრედვე ის საკითხები, რომელიც შეეხება პირდაპირი გადასახადებს განაწილებას სახელმწიფოსა და ერობის შორის. კანონ-პროექტის განხილვა გრძელდება საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

## სხვა და სხვა ამბები

**სამართალში მიცემა**

გზათა დეპარტამენტის დირექტორის ინჟ. ბ. ჭიჭინაძის განკარგულებით სისხლის სამართალში იქმნენ მიცემულნი რკინის გზის აგენტები, რომელთაც ბრალითაც უკანასკნელ ხანს სამჯერ მოხდა მატარებლების დაჯახება.

**ჩრდილო კავკასიიდან გამოქცეულთა გაგზავნა**

საქართველოს რკინის გზათა სამმართველოს განკარგულებით სასწრაფოდ შეადგინეს 2 მატარებელი, რომლებითაც მცხეთიდან ფოთში გაიგზავნება (ყირიმში გასამგზავრებლად) განიარა-

# ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ!

**მოქალაქენო! დღეს კვირას და ორშაბათს** ხდება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები თბილისის 50-ზე საარჩევნო უბანში (ნაძალადევში ...კენ) ყუთი დადგმულია 12 უბნის სახურხითო კომიტეტის ბინაზე (ყოლიბაუბნისა და გლდანის ქუჩ. კუთხე).

ვინც ამ უბანში სცხოვრობს მოიხადეთ ... ყუთში ერთან. დამ. პარტიის სია

# № 2

**ეს თქვენი წმინდა ვალია ერისა და პარტიისადმი.**

---

ღებული მოხალისეთა ჯარი და ჩრდილო-კავკასიიდან გამოქცეულნი ლტოლვილნი. მარტის 26 გაიგზავნა პირველი მატარებელი ფოთში, 27-ს—მეორე. განზრახულია ამავე მიზნისთვის 6 მატარებელი კიდევ დაინიშნოს.

**დაპატიმრება.**

ქალაქის სასურსათო განყოფილებას განკარგულებით დაპატიმრებულ იქმნენ განზრახ ყალბი საბუთების წარმოდგენისათვის ფულის ასაღებად ქალაქის საწყობების გამგე პ. გრიაზნოოვი და შეშის საწყობის გამგე კ. სერგიენკო მათი საქმე გადაცემულია სისხლის სამართლის მილიციაზედ. ამ დღეებში აგრეთვე დათხოვნილ იქმნენ სასურსათო განყოფილების მიერ მე-2 ე საწყობის გამგე ხარჩენკო და მოლარე მოროზოვი. ყველა ეს პირები გამოგზავნილი იყვნენ სამსახურში იაროსლავის საბირჟო არტელის მიერ.

**ქუთაისის სამაზრო ერობას სჭირდება** 2 ექიმი და ბებია ქალები. სამსახური უბნებში. ჯამაგირი 8000 მან. ექიმს ბებია ქალს კი 3300 მან. პრაქტიკის ნება არ არის. მსურველებმა უნდა მიმართონ ერობის საექიმო განყოფილებას. **გამგეობა.**

**გურის სასოსწავლებლო სემინარიის მოწაფეებს.**

29 მარტს ბორჯომში, „ძველ-კავალერიის" სასტუმროს შენობაში იხსნება პანსიონი და იწყება მეცადინეობა. ამ დროისთვის ყველა სემინარიელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოცხადდეს.

**აფხაზეთის აუდიტორია.** კვირას, 28 მარტს, ადგილობრივ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება დრამა ისტორიული „თამარ ბატონიშვილი". მონაწილეობს მთელი წრე. ბილეთები იყიდება.

**ფ ა ქ ა რ ი.**

**24** მარტს გემი „პალას—კოფ"-ზე ფოთის ნავთსადგურში ჩამოვიდა 200,000 ფუთი თხილი ...

**ნაფიცი მსაჯულები**

თელავის და სიღნაღის მაზრებში ნაფიცი მსაჯულთა სია უკვე შედგენილია, ხოლო დუშეთ-თიანეთი და გორის მაზრებისა სდგება.

— სურამში გაემგზავრა სესია ნაფიც მსაჯულთა სიების შესადგენად.

— იურიდიულ მოამბის გამოსაცემად ქართულ იურიდიულ საზოგადოებამ მიიღო 1000 მანეთი იუსტიციის სამინისტროდან და ქართულ კლუბიდან პირველი № გამოვა მაისში.

**ლტოლვილთა გაგზავნა,**

მარტის 26, საღ. 6 ვოლფილიდან ყარსში გაიგზავნა 12 ვაგონი სომეხ-ლტოლვილთა ბავშვებით. იმავე დღეს განჯაში გაიგზავნა 120 ლტოლვილი მაჰმადიანი.

**ლტოლვილნი ფოთში.**

როგორც სამხედრო მინისტრს ატყობინებენ ფოთიდან, იქ მოსულა ნოვოროსიისკიდან ორი გემი ლტოლვილებით. უმრავლესობას შეადგენენ ბავშვები, ქალები და ინვალიდები „მოხალისეთა" ბანაკიდან. არიან აგრეთვე პოლონეთის, საბერძნეთის და სომხეთის ქვეშევრდომნი. ლტოლვილთა უმრავლესობას სანოვაგე არ მოეპოვებათ და დიდ გაჭირვებას განიცდიან.

**საფრანგეთის უმაღლეს კომისრის ჩამოსვლა.**

გუშინ დილის 11 ს. თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე მარტელი. საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი—კორბეილი, კონსული ნეტტემანი და ოფიცერი პეშკოვი, სომხეთში საფრანგეთის სამხ. მისიის წარმომადგენელი პუა-დე პარი და მათ დასახვედრად ბათომში გაგზავნილი საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორი ი. ტატიშვილი, და ლეიტენანტი შალიკაშვილი. მათ შეხვდნენ: საგარეო საქ- ...

ხედრო მინისტრის ამხ. გიდევანიშვილი, გენერალურ შტაბის უფროსი გენერ. ზაქარიაძე, საფრანგეთის სამხ. მისსიის უფროსი ლენონანკური ინგლისის უმაღლესი კომისარი უორდროპი, პრინცი მიურატი, ლეიტენანტი პიუგი, საფრანგეთის კონსული კავკავშილორანი, პოლონეთის წარმომადგენელი ოსტროვსკი, უკრაინის მისსიის მდივანი ტიშკევიჩი, სომხეთის წარმომადგენელის მოადგილე თუმანოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროდან პოლკ. მელიქიშვილი, მდივანი ისარლოვი და პრესის წარმომადგენელნი.

**მეცნიერის ავადმყოფობა**

ცნობილი ბოტანიკი და ფლორის მკვლევარი ნ ს. მედვედიევი მძიმედ ავად შეიქნა.

## ფოსტა

**გადაკეთება** ახმეტის საფოსტო განყოფილება გადაკეთებულ იქმნა საფოსტო სატელეგრაფო განყოფილებათ.

**ახალი ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილება**

ს. ახალქალაქში გაიხსნა ახალი საფოსტო სატელეგრაფო განყოფილება.

## კრებებ

**თბილისის წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო**

საბჭო სთხოვს ამ ეკლესიის მრევლს მობრძანდნენ კვირას, 28 მარტს, ეკლესიაში, დილის 11 ს. დიაკვნის ამოსარჩევად.

**მასწავლებელთა კავშირის კრება.**

კვირას, მარტის 28, საღ 6 ს. ქ ... თ 1 გიმნაზიაში მოხდება ადმ. საქ. საშუალო სკოლების მასწავლებელთა ...

**მეაფთიაქეთა ყრილობა.**

ქ. ქუთაისის მეაფთიაქეთა კავშირი მოუწოდებს დასავლეთ საქართველოს აფთიაქების პატრონებს, მოიჯარადრეებს, მშართველებს და საფარმაციო მეცნიერების აყვავება-განვითარებისა მოსურნეთ, დაესწრონ პირველ საერთო კრებას, რომელიც დანიშნულია ქ. ქუთაისში 1 აპრილს გასარჩევად მრავალი სასწრაფო საკითხები.

**საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.**

სამშაბათს 30 მარტს, საღამოს 7 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩ., № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1. ინჟ. ვ. კაკაბაძე „შინა მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში". 2. მ. შ ლამბერიძე „ფხვილი ნახშირის გამოყენების საკითხი" 3. მიმდინარე საკითხები.

## სამხატვრო ქრონიკა

**საკონცერტო საღამო.**

ალექსანდრეს თეატრის მსახიობის ნ. ხოდოტოვის, პიანისტიურგენსინის და მწერალ დოენგრინის (გერტო-ვინოგრადსკი) პირველი საკონცერტო საღამო გაიმართება ორშაბათს, მარტის 29 ს. ამ საღამოზე სხვათა შორის ნ. ხოდოტოვი წაიკითხავს მუსიკის ქვეშ მაქსიმილიან ვოლოშინის, ზინაიდა ჰიპპიუსის და სხ. ახალ ლექსებს

**„ტარტოში".**

„ტარტოს" ახალ პიესებიდან იდგმება „ნახევრად ქალწულნი" მარსელ პრევოს რომანით და „ბოგონები" ლოკის რომანით.

**ნ. კომიცის გასტროლი.**

ნ. კომიცის უკანასკნელი გასტროლი გაიმართება დღეს, კვირას. იდგ- ...

## უკანასკნელი ცნობები

**შავი ზღვის გუბერნიის აჯანყებულ გლეხთა მთავარ შტაბის ოფიციალური ცნობა.**

მოწინააღმდეგის ძლიერმა რაზმმა, რომელიც მარტის 24 ნოვოროსიისკს მოეწყვიტა,და რომელსაც ჩრდილოეთიდან საბჭოთა ჯარი სდევნის რამდენიმე იერიშის და 1000 კაცის დაკარგვის შემდეგ ინდიუკის პოზიციებიდან ჩვენ ჯარებს უკან დაახევინა და ქ. ტუაპსე აიღო. ჩვენმა ჯარმა ქალაქის გარშემო მარჯვე პოზიციები დაიჭირა და აგრეთვე სადგურები მოიტხი და ქელეზინსკაია. შავი ზღვის გლეხთა არმიის მაიკოპის ჯგუფი ჩრდილოეთიდან მოწოლილ საბჭოთა ჯარს შეუერთდა. უკან დახეულ მოხალისეთა ჯარისთვის გზის გადასაჭრელად სოჭის ოლქში გამოცხადდა მთელი გლეხობის მობილიზაცია.

## ქართველ მწერალთა მეორე ყრილობა

კვირას, აპრილის ოთხს, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით მოწვეულ იქნება სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობის დღიური წესრიგი თანახმად კავშირის წესდებისა, გამოქვეყნებულ იქნება ერთი კვირით ადრე.

**სია იმ მწერალთა, რომელთაც იწვევს აპრილის 4-ს ყრილობაზე მწერალთა საბჭო. *)**

*) ის მწერლები, რომელთა გვარები აღნიშნულია ვარსკვლავებით, ითვლებიან კავშირის წევრებად. დანარჩენნი გამოცხადდებიან ყრილობაზე და ჩაეწერებიან. თუ რომელიმე მწერალთაგანი არ მოხვდა ამ სიაში იმას უფლება აქვს გამოცხადდეს კრებაზე და კანჭი იყაროს კავშირის წევრო- ...

ა.

1*. აბაშელი ს. 2. აბაშიძე ვასო. 3. აბაშიძე კოკი. 4. აბრამიშვილი მიხ. 5 აბხაიძე შალვა. 6. ავალიშვილი ნიკო (მთარგმ). 7*. ადამაშვილი მიხ. 8. აზიანი. 9. აზირა. 10*. ამირეჯიბი შალვა. 11*. ანდრონიკაშვილი კონსტ. 12. არაგვისპირელი შიო. 13*. ალლაძე ილია. 14. ახვლედიანი დარია. 15*. ახნაზაროვი ართემ. 16. ახობაძე ლადო. 17. ახოსპირელი ბეგლარ.

ბ.

18. ბაბილინა, 19*. ბარნოვი ვასილ, 20. ბებიაშვილი რ., 21, ბაქრაძე ვლადიმერი, 22· ბაჩანა, 23. ბუქურაული ივ., 24. ბოჭორიშვილი მიხ.

გ.

25*. გაბაშვილისა ეკატერინე, 26*. გამსახურდია კ., 27. განდეგილი, 28. გარიყული მარ., 29*. გაფრინდაშვილი ვალ. 30 გელეიშვილი პეტრე, 31. გარრიკი ვახტანგ, 32, გვაზავა გ., 33. გვეტაძე რ., 34. გედევანიშვილი იოსებ, 35. გელა, 36. გომართელი ივ., 37. გოგოხია რ., 38. გორგაძე სერგო, 39*. გრიშაშვილი ი., 40. გუნია ვალ., 41*. გლახაშვილი ს., 42. გარდელი.

დ.

43*. დადიანი შალვა, 44*. დადიანი სამსონ, 45 დადიანი შოთა, 46*. დადვაძე პავლე, 47. დიკანოზიშვილი ანდ., 48*. დიასამიძე გრ., 49. დევდარიანი ს.

ე.

50*. ელეფთერიძე ილია, 51. ელიაშვილი ივ., 52. ევანგულოვი ბ., (მთარგ.) 53. ერისთავ. ხოშტარიასი ა., 54 ... 55* ...

---

[illegible]

5 მოქმედ. დიუმასი.

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 2—61—1.

---

1) დღეს კალიშევიჩ ... კისერზე 30 კაცი მოლუნავს რკინის გზის ლიახდაგს.

2) დღეს კალიშევიჩი დაიჭერს ორკესტრს 30 მუსიკოსისაგან, რომელიც ამავე დროს გლადიატორთა მარშს შეასრულებს.

3) დღეს კალიშევიჩი შეეჯიბრება 20 ადგილობრივ მოჭიდავეს ისპანიურ ჭიდაობაში.

4) მხოლოდ დღეს, თავის ბენეფისის დღეს კალიშევიჩი გამოდის, როგორც მოქსიორი საქართველოს ულონიერეს მოჭიდავე **სანდრო კანდელაკის** წინააღმდეგ.

ინგლისური ბოქსი **კალიშევიჩი — კანდელაკი.**

1) **კალიშევიჩი — „ნეიზვესტნი".**

2) ფელიპენკო—მოზინგი.

3) გადამწყვეტი შეხვედრა **ჰენჯა ალი — შავი ნიღაბი.**

**ანონსი:** ამ დღეებში ცნობილ თბილელ კინტოს მესტიაშვილის ბენეფისი.

დასაწყისი: 8 ნახ. საათზე. პარადი 10 ნახ. საათზე.

გამგე: **იურიევი.**

---



# ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 23,)

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

**სადილები**

სამშაბათს, მარტის 30 ს

## ლიდია ჯონსონის და კონსტანტინე ალფეროვის

**უკანასკნელი გამოსათხოვარი საღამო.**

ახალი ცეკვა: ფრესკა, რუსული იუმორესკი და სხვა.

**დ მიტრი ფესენკოს ბოშ თა ხორო,**

შეუდარებელი ამსრულებელ. სალონის ცეკვათა

**ტრუზი და ველტე**

**რუდოვსკის მოთხრობანი** და სხვ.

ყრილობა 11—1 საათზე.

---

**კვირას 7-ი მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი**

# „სასოფლო გაზეთი"

**„სასოფლო გაზეთს" აქვს შემდეგი განყოფილებანი:**

**საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.**

**„სასოფლო გაზეთში"** მონაწილეობს ილებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს" ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.

თითო ნომერი 3 მან. რედაქტორი **ნიკო კაიშაური** 4—3—17

---

პირველხარისხოვანი რესტორანი

# „მტკვრის-პირას"

ვორონცოვის ძეგლთან. ტელ. 11 53.

**ევროპიული და აზიური კერძები**

ადგილობრივი და საზღვარგარეთული **ხასმელები** საუკეთესო ფირმებისა და მარკისა.

შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ **ნადიმ-ზეიმისა.**

რესტორანიან მოწყობილია საუკეთესო ახალი შეკეთებული მყუდრო

**სათავსო დარბაზები**

რესტორანი ღიაა დილის 10 ს. ღამის 2 საათამდე.

3004 10—2 **პატივისცემით დირექცია.**

---

## ბათომი და მოკავშირენი

„ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა ბათომს ლიგის ნეიტრალიზაცია ყოფ და მის გარშემო მცირე ზონა შეჰქმნას" — ასე განმარტა უმაღლეს საბჭოს დადგენილება, საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ბ ნმა დე-მარტელმა.

„მე არ ვხედავ საბაბს უკმაყოფილებისათვის ქართველი ერის მხრით ასეთი გადაწყვეტილებისათვის რომელიც პირიქით, მოხარული უნდა იქნეს, რომ ბათომი ისეთს წარმატებაში იქ-ნება და საქართველო უშუალოთ დაუახლოვდება ევროპას" — ბრძანა ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა მისტერ ოლ. უორდროპმა.

ეს აზრი იმ ორი დიდ სახელმწიფოს წარმომადგენელთა, რომელნიც განსაკუთრებით სწყვეტენ მსოფლიოს ბედს დღეს და ბათომის საკითხის გარდაწყვეტაში, რასაკვირველია უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ!

მისტერ უორდროპი თავის განცხადებაში ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ტერმინს „პორტოფრანკოს", როგორადაც მოხსენებულია დღეს ბათომი, მხოლოდ „ფისკალური ...

... არის გამოცხადებული, საქართველოს ინტერესები ბათომსა და მთელს ოლქში, არამც თუ მცირეოდენად დაცული არ არის, არამედ სასტიკად ილახება კიდეც, და მოკავშირეთა თვალ წინ საიცარი კამპანია არის გამართული საქართველოს წინააღმდეგ.

არავის არ შეუძლია უარყოს, რომ ბათომის ოლქში, სხვა სახელმწიფოთა აგენტები დათარეშობენ და ხალხს ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ—ამის საბუთები მრავლადაა და საკმაოდ გაშუქებულია ჩვენს მიერ მოკავშირეთა წარმომადგენლობის წინაშე.

მართალია ბ-ნი უორდროპი აცხადებს, რომ „პრესსის ცნობები, აზერბაიჯან-სომხეთის წარმომადგენელთა მუშაობის შესახებ ბათომის ოლქში, ჩვენს კანონიერ ინტერესების წინააღმდეგ სიცრუეა", მაგრამ ჩვენ გვაქვს საბუთები დაუმტკიცოთ ბრიტანეთის პატივცემულ წარმომადგენელს რომ, მას ან საკმაო ინფორმაცია არ აქვს ამ მუშაობის შესახებ, ან და შეცდომაშია შეყვანილი; ყველა სხვა საბუთების გარეშე, დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საფრანგეთის უმაღლეს კომისარის ბ-ნ დე-მარტელის საუბარი ბ-ნ მ. ხოშტოლავასთან, რომელსაც ბ-ნმა დე-მარტელმა აშკარად განუცხადა, რომ „ბათომის საკითხის გადაწყვეტა დღეს მეტად ძნელია, რადგან იქ ერთმანეთს ეჯახება მრავალი სახელმწიფო ინტერესები".

რას ნიშნავს ეს?

რომელი სახელმწიფოს ინტერესები ეჯახებიან ბათომში ერთმანეთს? ერთად ერთი კანონიერი პრეტენდენტი ბათომისა მხოლოდ საქართველოა, რომლის უდაო უფლებანი დარწმუნებას არ ითხოვენ არავისთვის, ვინც კეთილსინდისიერად გაეცნობა ამ საკითხს! მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს „ინტერესთა შეჯახება" შეჰქმნა იმ ფარულმა მუშაობამ, რომელსაც ჩვენი მეზობლები ფართოდ ეწეოდნენ და ეწევიან დღესაც.

ჩვენ ვიცით, რომ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის პასუხისმგე- ...

... ოლქზედ.

ჩვენ გვჯერა და სამართალმაც უნდა გაიმარჯვოს და ბ-ნ დე მარტელის აზრი რომ: „მე ვფიქრობ როგორც არ უნდა გადასწყდეს ეს საკითხი, საქართველოს სუვერენული უფლება მთელს ბათომის ოლქზედ გავრცელდებაო" ადგილობრივი პირობების გაცნობით უფრო გაღრმავდება და ანტანტის სხვა წარმომადგენლებიც წარუდგენენ უმაღლეს საბჭოს მოთხოვნილებას ბათომის საკითხის სწრაფი და ჩვენი სასარგებლოდ გადაჭრისათვის.

და თუ ანტანტის სახელმწიფოთ მართლა სურთ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ეს აქტი უნდა მოხდეს:

ეს იქნება გამარჯვება საერთაშორისო სამართლისაც!

## საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო კავშირის გარშემო

გაზ. აზერბაიჯანი" ეხება რა საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო კავშირს შემდეგს სწერს:

„თავდაცვითი კავშირი, დადებული საქართველოსა და ჩვენი რესპუბლიკის შორის ჩვენთვის დამუქრებულ დენიკინელ ურდოების წინააღმდეგ ისევ უნდა განახლდეს ჩრდილოეთის ახალ საშიშროების წინაშე. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ისტორიული ბედი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან შეკავშირებული, ისტორიული წარსულით და ტერიტორიალი სიახლოვით, რომ მათი ერთსულოვანი გამოსვლები არის მოთხოვნილება არა მარტო განსაზღვრულ მომენტის, არამედ გამოწვეულია ამიერ-კავკასიის ცხოვრების საერთო პირობებით და ორივე რესპუბლიკისთვის ხდება sine qua non ის გარემოებად. ამისთვის ის ჯაჭვი მეგობრობისა, რომლითაც ვიყავით გადაბმულნი ჩრდილოეთიდან მოწოლილ პირველ საფრ-

56. ეკალაძე ია., 57*. ერთაწმინდელი ს.

ვ.

58*. ვართაგავა ივ., 59. ვარდოშვილი ხარიტონ, 60*. ვედრეშისელი დარ.

ი.

61*. იაშვილი პაოლო, 62. იასამანი, 64*. ინგოროყვა პავლე, 64*. ინ-ბანი, 65. ირეთელი პ., 66. იმედაშვილი ი.

კ.

67*. კასრაძე დ., 68. კაკაბაძე პოლ., 69. კაპანელი კ., 70. კარმელი შ., 71*. კლდიაშვილი დავით, 72. კლდიაშვილი ს., 73*. კოტეტიშვილი ვახ., 64. 74. კოპალი დ., 75. კურდღელაშვილი ნ.

ლ.

76*. ლეისტი არტურ, 77. ლორთქიფანიძე ნიკო, 78. ლეჩხუმელი რ., 79*. ლეონიძე გ., 80*. ლიხელი დ., 81*. ლუკაშვილი დ.

მ.

82*. მაყაშვილი კოტე, 83*. მარიჯან, 84*. მაჭავარიანი ივ. (მთარგ.) 85. მაჭავარიანი ლადო, 86. მალაქიაშვილი ვ., 87*. მელანია, 88*. მეგრელი დუტუ, 89*. მეტრეველი ლევან, 90, მესხი დავით, 91. მენთეშაშვილი ევგ., 92. მეჩონგურე დ. 93*. მგალობლიშვილი სოფრომ, 94. მირიანიშვილი პ. 95. მირიანაშვილი ალ., 96. მიწიშვილი ნიკოლოზ. 97. მუმლაძე გ. მოსაშვილი ილ. 99. მღვიმელი შიო, 100*. მჭედლიშვილი ი.

ნ.

101*. ნადირაძე კოლაუ. 102. ნათაძე ლეო. 103*. ნაკაშიძე ნინო. 104*. ნაკაშიძე ილია. 105*. ნახუცრიშვილი დ. 106*. ნიკოლაძე ნიკო. 107. ნიკოლაიშვილი ი. 108. ნიკიტინი ალ. (მთარგ.).

ო

109*. ობილი მუშა. 110. ორბელიანი ელისაბედ.

პ

111*. პაპავა აკაკი. 112 პანცხაშვილი ს. 113. პოლუმორდვინოვი ივანე (მთარ.).

რ.

114*. რამიშვილი ტრ. 115. რაზიკაშვილი თედო. 116. რაჭველიშვილი ქრისტ. 117. რეშიძე ს. 118*. რობაქიძე გრ. 119. რუს-იმერელი. 120. რუშაველი ფ. 121*. რუხაძე ვარლამ. 122. რუხაძე ილია.

ს.

123. საქარიქედელი გრ. 224. სახოკია თ. (მთარ.). 125. სევდია.

ტ.

126*. ტაბიძე გალაკტიონ. 127*. ტაბიძე ტიციან. 128. ტუქსაშვილი ვ.

უ.

129. უზნაძე დიტო. 130. უიარაღო.

ფ.

131. ფანცხავა იაკ. 132*. ფაშალიშვილი ს. 133*. ფირცხალავა სამ.

ქ.

134* ქიაჩელი ლეო. 135*, ქუჩიშვილი გიორ. 136*. ქიქოძე გერ. 137*. ქვარიანი სიმ.

ღ.

138. ღამბაშიძე ვახ. (მთარ).

ყ

139*. ყანჩელი სანდრო 140*. ყიფიანი სვ. 141. ყიფიანი ვასილ 142. ყიფიანი პალიკო. 143, ყიფიანი ნინო. 144. ყიფიანი კოტე. 145 ყიფიანი ივ. 146 ყიფშიძე გრ.

შ.

147*. შანშიაშვილი სანდრო. 148. შანიძე აკაკი. 149*. შარაშიძე შალვა. 150. შენგელაია დემნა. 151*. შიუკაშვილი ნ.

152. ჩიქნელი დია. 153*. ჩხიკვაძე ნ.

ც.

154. ცეცხლაძე გრ. 155. ცვარ-ნამი. 156*. ცირეკიძე სანდრო. 157 ცქიტი.

წ.

158. წეველი ს. 159. წერეთელი ალ. 160. წუთისოფლელი კ. 161. წულუკიძე მიხ.

ჭ.

162 ჭანტურიშვილი სიო 163. ჭუმბურიძე გ. 164*. ჭუმბაძე ქრ. 165*. ჭანტიძე კ. 166. ჭყონია ილია.

ხ.

167. ხიჩუაშვილი გ. 168. ხომლელი რ. 169. ხუნდაძე სილოვან. 170. ხუსკივაძე თეოფილე.

ჯ

171*. ჯაფარიძე ლელი. 172. ჯორჯიკია ჯაჯუ.

## წერილები რედაქციის მიმართ

I

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ქვემოხსენებულ ანგარიშს:

ვაჭარ-მრეწველთა შორის ომისათვის ფული შემკრებმა მთავარმა კომიტეტმა სულ შეაგროვა: ქ. თბილისში 246 173 მ. 12 კ. ქ. ქუთაისში 84 000 მ. პროცენტები თანხისა 812 მ. 25 კ. სულ 330.985 მ. 37 კ. დაიხარჯა: სხვა და სხვა ხარჯი 5.559 მ. 50 კ. გადაეცა ფინანსთა სამინისტროს 1919 წ. 12 აპრილს 300.000 მ. გადაეცა მასვე მარტს 1920 წ. 25.426 მ. 87 კ. სულ 330.985 მ. 37 კ.

27 თებერვალს კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა ანგარიშები და დაადგინა: 1) კომიტეტი ჩაითვალოს გაუქმებულად და 2) მისი ანგარიშები გადაეცეს შესაფერ სავაჭრო-სამრეწველო პალატის არქივს, სადაც შემომწირველებს შეუძლიანთ გადაათვალიერონ სიები და ანგარიშები.

ღრმა პატივისცემით კომიტეტის თავმჯდომარე ნ. წვერავა.

ხაზინადარი ხ. ფურაქაშვილი.

II

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ანგარიში კ. ი. ზუბალაშვილის სახელ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ 4 მარტს გამართულ საღამოსი გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

| | | |
|---|---|---|
| შემოვიდა: ბილეთების გაყიდვისაგან | . 101,150 მ., | კ. |
| პროგრამების გაყიდვით | 613 „ | |
| აუქციონიდან | . 6810 „ | |
| ბუფეტიდან | . 5708 „ | 50 |
| სულ | 114,281 „ | 50 |
| დაიხარჯა: საზანდარი | 1500 „ | |
| სანოვაგე ბუფეტისათვის | 5260 „ | |
| განცხადებები გაზეთებში | 420 „ | |
| წვრილი ხარჯები | . 70 „ | |
| სულ | 7250 „ | |

დარჩენილი თანხა ჯამით 107,031 მან. 50 კ. შეტანილ იქმნა გორის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე თბილისის კომისიაში საბუთით № 16.

წრის გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს: დ. დივანოვს, ძმ. მირინაშვილებს, ძმ. ძველვილოვებს, ბ. იხტიაროვს, დ. არუთინოვს, ა. ქალანთაროვს, შ. ჭინჭარაძეს, მარმარაშვილს, დ. ზუკაკიშვილს, მესხიევს, ი. მირზოევს, ი. ლაზარევს, დ. ომარიევს, ზ. თოიძეს, ა. ნეფარიძეს, რომლებმაც შემოსწირეს ამ საღამოსათვის სხვა და სხვა სანოვაგე და სასმელები და ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბას რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ დაგვიმზადა აფიშები და პროგრამები.

წრის თავმჯდომარე კ. ხახანაშვილი, მდივანი ივ მინდიაშვილი.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

№ 38 ვაჭრობა და მრეწველობა № 38
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

## თანამედროვე მდგომარეობა მარგანეცის მრეწველობისა.

წერილი მეხუთე.

**მარგანეცის მრეწველობის უახლოესი საჭიროებანი.**

ჩვენ ამ წერილში არ შევეხებით არც რკინის გზის მოუწყობლობას, არც ნავსადგურის მდგომარეობას; ჩვენ აქ გვინდა აღვნიშნოთ ის მიუცილებელი საჭიროებანი, რომელნიც ადგილობრივ თვით მარგანეცის წარმოების სათავეში არიან, და რომელთა დაუკმაყოფილებლობა დიდსა და გამოუსწორებელ ზარალს მოუტანს მარგანეცის მრეწველობას. მოგეხსენებათ შესახებ „უგზობასა და უწყლობაზე“. როგორც წინა წერილებში მქონდა გაკვრით ნათქვამი, მარგანეცის ტრანსპორტის საქმე მადაროებიდან რკინის გზის ლიანდაგამდის მეტად სახიფათო მდგომარეობაშია და თუ მას წამალი არ დაედო, მარგანეცის მრეწველობა როგორც დღეს არის გაჩერებული ისე დარჩება და ერთი წლის შემდეგ, როდესაც დამზადებული მარგანეცი გაიზიდება, თვით გაზიდვაც შესწყდება და ამით მოეღება ბოლო მარგანეცის მრეწველობას. ეს ჩვენი სიტყვები მოსაზრებანი, გამოთქმული მრეწველთა ყრილობაზე, მეტად შკაფიოთ იყო გაგებული. რადგან ყველა მრეწველი ამას გრძნობს ნათლად. რაშია საქმე, იკითხავს მკითხველი, თუ დღემდის იყო წარმოება და ტრანსპორტის საშუალება დღეს რადა მოხდა?

მოგეხსენებათ, რომ ჭიათურის რაიონში მუშაობდა ათასობით ხარ-კამეჩი და ცხენი. დღეს ომმა მოსპო და ჩაყლაპა ხარ-კამეჩი, ცხენები, რევოლიუციამ, რომელსაც თან ჰყვა ხალხთა ფსიხოლოგიური არევ-დარევა, ხელი შეუწყო ხალხთა ყოველმხრივს გალატაკებას, ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში ხალხი წინად შექმნილ სიმდიდრეს ფლანგავდა და არაფერს არ ჰქმნიდა; ეს საერთო მოვლენა ყველა კუთხისათვის ჭიათურას არ აცდენია; მაშასადამე ეს, რაც წინათ იყო, აღარ არის და მის შექმნას მეტად დიდი დრო დასჭირდება, მრეწველობის საქმე კი დაყოვნებას არ ითმენს, რადგან დღეს დაკარგული და სხვისაგან ალღ- [illegible]

ლაში, ე. ი. ღელეების ნაპირ-ნაპირ. ამისთანა ღელეებია ხუთი და ამ ხუთ ღელეზე გამართული ოცდა ათი ქარხანა, რომელთა დამზადებული (გარეცხილი) ქვა არის გამოსაზიდი. მისი რაოდენობა ყოველწლივ, სულ მცირე, ოცდა ათი მილიონი ფუთი იქნება და შეიძლება ას მილიონამდისაც ავიდეს. მთელი სიგრძე ამ ღელების გზებისა 17 ვერსს არ აღემატება—მისი აშენება ექვსი თვის განმავლობაში შეიძლება და ძველის ანგარიშით სამასი ათასი მანეთიდან ოთხას ათასამდის დაჯდება, როგორც ეს მრეწველთა საბჭოს ტეხნიკურმა განყოფილებამ გამოიანგარიშა. მეორე მიუცილებელი საჭიროება ჭიათურის სამრეწველო რაიონისათვის არის წყალი. ცნობილია, რომ მადაროებიდან გამომუშავებისთანავი წყაროები იპარება და როგორც მცხოვრები ზედაპირზე, ისე სამრეწველო პუნქტი უწყლოთ რჩება. დიდი ჩივილია სოფლებში ერთის მხრით და მრეწველთაგან მეორეს მხრით, რომ წყალი არა აქვთ. წყალი არა აქვთ აგრეთვე ქარხნებს მარგანეცის სარეცხად და დამოკიდებული არიან ღელეების იმ წყლის სიმდიდრეზე, რომლებსაც თავის სეზონები აქვთ. ამნაირათ ჭიათურის რაიონი უწყლობას განიცდის კარგა ხანია; კარგა ხანია ამ გარემოებას მრეწველთა საბჭომ მიაქცია ყურადღება, გამოიკვლია წყაროები, რომელთაც შეუძლიან მისცეს სამრეწველო რაიონს საკმაო წყალი, შეადგინა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა დიდი თვითმომდინარე წყალსადენისა, ხოლო გეგმა ქაღალდზე დარჩა, ვინაიდგან იმ დროს პირობები არ უწყობდა ხელს, და თანაც მეტად ძნელი საქმე იყო ადგილების ჩამორთმევის ნებართვის მიღება. ამნაირათ არის დღეს ამ მრეწველობისათვის ორი დიდი საკითხების მდგომარეობა. მოკლე ხანში აღძრული იქნება მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ამ ორი საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭირო ნებართვის მიღების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ამ მრეწველობისათვის საჭიროზოროტო საკითხს სათანადო ანგარიშს გაუწევს მთავრობა, ვინაიდგან სახელმწიფოებრივი თვალთსაზრისით აც ეს მეტათ ხელსაყრელი საქმეა და მადაროს მუშათა ჰიგიენური მოწყობა უამისოთ შეუძლებელია.

გარდა ზემოყვანილ საჭიროებათა, [illegible]

ხის გამო ზრუნვა საბჭომ დიდი და ვრცელი გამოკვლევა მიახდინა სოფლებში, მექარხნეებს რომ მღვრიე წყალი არ გამოეშვათ, კანტროლებიც მიუჩინა, ხოლო ამან ვერ მიაღწია მიზანს; ბოლოს საბჭომ კონკურსი დანიშნა მდინარე ყვირილის გაწმენდის გეგმისა; მაგრამ არც ერთი გეგმა არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. ამ მდგომარეობაში იყო საკითხი, როდესაც ომი გამოცხადდა და ეს კითხვაც მიჩუმდა, რადგან თვით მარგანეცის რეცხვაც შეჩერდა. ეხლა მოსალოდნელია მუშაობა დაიწყოს, დაიწყება ქარხნების მოქმედებაც და მდინარე ყვირილის შელებვაც და, მაშასადამე, მცხოვრებთა პროტესტებიც. პროტესტების უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია, მეორეს მხრით მრეწველობის შეჩერებაც დიდი ზარალია. გამოსავალი უნდა მოინახოს და ამისთვის კი საჭიროა ძიება ამ გამოსავლისა. წინანდელი პალიატივა საკმარისი არ არის, იგი მხოლოდ თვალის ახვევად იყო საჭირო, დღეს თვალის ახვევა არავისა გვჭირდება; დღეს საჭიროა, თუ შესაძლებელია, ეს კითხვა რადიკალურად გადიჭრას, ან სულ მოიხსნას, თუ იმისი შესრულება შეუძლებელია.

ყველა ზემო ჩამოთვლილ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ მარტო ფული არ არის საკმარისი: მიუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ ყველა ამ საქმეებს პირველ ყოვლისა ეყოლოს უფლება მოსილი პატრონი. ამნაირი პატრონი არის და დაინტერესებული პატრონიც შავი ქვის მრეწველთა საბჭო, ხოლო მას აკლია ის უფლება, რომლითაც ყველა თვითმართველი ერთეული თავის რაიონში სარგებლობს, ე. ი. იძულებითი ჩამორთმევის (ნორმალურ ფასებში) უფლებით; ეს გარემოება მრეწველთა საბჭოს ყოველთვის უბორკავდა ხელ-ფეხს და დღესაც ეს გარემოება საშუალებას არ მისცემს მას თავის მისსია შეასრულოს, თუ ეს უფლება სამრეწველო რაიონის ფარგლებში და საერთო სამრეწველო საჭიროებისათვის მას არ მიენიჭა.

**Tertius.**

## საქ. სამრ. პალატაში.

საქ. სავაჭრო სამრეწველო პალატამ შემდეგი მიწერილობა სომხეთის [illegible] შევრდომთ საბჭოთა მთავრობა სამხედრო ბეგარისაგან ათავისუფლებს.

ლამ იცის ოსმალური, მაგრამ ლაპარაკით კი სამშობლო ენაზე ლაპარაკობენ. სწავლა განათლებით, როგორც [illegible]

დერებზე, ემშილები კი სოფ. გონიაში, ჩაქვაში, ჩურუქ-სუში, მურგულის ხეობაში, ბორჩხაში, ვაზრიაში, ხარ- [illegible]

ცხოვრობენ: მცხოვრებლები მისდევენ მომეტებულ ნაწილად მიწის მუშაობას, საქონლის მოშენებას [illegible]

და ეს ცნობები უკვე აშკარად ჰყოფენ ჩვენი მოკავშირეს მოღალატურ და პროვოკაციულ მოქმედებას. უკვე აღარავისთვის საეჭვო აღარ არის, რომ აზერბაიჯანმა ნიღაბი ჩამოიხსნა და უტიფრად რაზმავს ჩვენს საწინააღმდეგო ძალებს!

რისი იმედი აქვთ ამ ავანტიურაში? ნუ თუ მართლა შესაძლებელია ისეთი უტოპიის განხორციელება, როგორც „დამოუკიდებელი აჭარისტანია“, რომ ასეთი ფუქსავატი განზრახვისათვის, ჩაიშალოს ის კავშირი, რომელიც ჩვენსა და აზერბაიჯანს შორის დამყარდა და რომლის სიმტკიცეზედ, ჩვენი მეზობელი დღესაც განაგრძობს ლაპარაკს! მაგრამ ჩვენს მოკავშირეს სრულებით სხვა განზრახვა ამოქმედებს, რაც ჩვენთვის უკვე სავსებით ნათელია და რაც სასტიკად გვავალებს დროზედ გავახილოთ თვალები მოსალოდნელ საფრთხის ასაცილებლად.

როგორც არა ოფიციალ ცნობებიდან ვიცით, გუშინ წინ თბილისში ჩამოსულ ბათომის გენერალ გუბერნატორი კუკ კოლის მოუთხოვია ბათომის ოლქიდან ჩვენი ჯარების გაყვანა, ჩვენი აზრით ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია, რადგან იგი, ისედაც გამწვავებულ აგიტაციას საქართველოს წინააღმდეგ, კიდევ უფრო გაამწვავებდა და არც თვით ინგლისის სარდლობა ! დარჩებოდა კმაყოფილი შექმნილ მდგომარეობით.—ეს მდგომარეობა კი ინგლისის სარდლობის წინაშე. ბათომის ოლქს გაშლის სისხლის ღვრის და ანარქიის ასპარეზად, რადგან საქართველო უბრძოლველად ვერ დასთმობს თავისი მიწა წყლის იმ ადგილს რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია და მისი არსებობისათვის სასიცოცხლო ინტერეს წარმოადგენს.

## საქართველოს ეკლესია

დღეს, სამი წელი შესრულდა, რაც საქართველოს ეკლესია განთავისუფლდა რუსეთის მონობისაგან და თავისი ავტოკეფალიობა განაგრძო.

იყო ეროვნული გრძნობა და დამონებული ჩვენი სამშობლო მძიმე ულლის ქვეშ დრტვინავდა ქართველი სამღვდელოებაში ნამდვილი პატრიოტული სული ღვიოდა და მედგარ ბრძოლას აწარმოებდა თავისუფლებისათვის.

1917 წელს ეკლესიის განთავისუფლება იყო პირველი თავის ამართვა ეროვნული სულისა და კათალიკოსის თავზედ მბრწყინავი ძველი ქართული გვირგვინი იყო გვირგვინი ქართული სიამაყის, და წარსული საუკუნეთა დიდების და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განთავისუფლების წინამორბედი.

დღეს საეკლესიო ცხოვრება უკვე იმ ხანაში გადადის, როდესაც მან მხოლოდ თავისი პირდაპირი საქმე უნდა შეასრულოს და ეკლესიის საქმეებზედ იზრუნოს. ჩვენი ვალია, ვინც ამ ეკლესიას ვეკუთვნით და მის რწმენაში აღვზრდილვართ და ვიზიარებთ, მივიდეთ დამხმარე ხელით ქართველ სამღვდელოებასთან და მივცეთ მას საშუალება პირნათლად აასრულონ თავისი მოვალეობა.

როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოება მოვალეა იზრუნოს მისთვის, რომ ქართველ მორწმუნეთა გრძნობები შელახული არ იქნენ მით, რომ ღვდელთ-მსახურებას სათანადო პირობები არ ექმნესთ თავის სამსახურისთვის.

## საქართველოს ეკონომიური წარმომადგენლობა ევროპაში

წარსული წლის განმავლობაში საქართველოდგან საზღვარ-გარედ, ევროპაში, გაიგზავნა საკმაო რიცხვი, ეგრედ წოდებულ, ეკონომიურ აგენტებისა ზოგი მათგანი ეხლაც იქ არის, ზოგი დაბრუნდა, ზოგი ხელმეორედ წავიდა და ზოგიც ეხლა ემზადება წასასვლელად.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლობა ევროპაში დიპლომატიური თუ ეკონომიური,

თქმის ყველა დარგში, ჩვენ სრულიად ჩამოვშორდით ევროპის ტეხნიკურ საქმიანობას და აგერა ექვსი წელიწადია კარები ჩაკეტილი გვაქვს მეცნიერებასა და პრაქტიკისაკენ.

მეტი მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს ტეხნიკოსთა, ვაჭარ-მრეწველთათვის და ევროპის ტეხნიკის და მრეწველობის ახლო წარსულ მდგომარეობის და აწინდელი ვითარების სალი და ღრმა ანალიზი.

ამ დროს, ჩვენი ბედნიერი ამხანაგები იგზავნებიან სახელმწიფოს ხარჯით ამ ტეხნიკის და მრეწველობის გასაცნობად და შესასწავლად. და რასაკვირველია, შეუწყნარებელი იქმნებოდა, რომ ამ მოგზაურობის შემდეგ ისინი ბრუნდებოდნენ სამშობლოში მხოლოდ ყვითელი „ჩამადნებით“ და კონტო „გალსტუკებით“—ეს არ იქნებოდა სამარცხვინო არც მათთვის, ვინც ეს აგენტები გაგზავნა და არც მათთვის, ვინც სახელმწიფო ხარჯით ისარგებლა და თავისი პრივილეგიური მდგომარეობით არ ისარგებლა და ჩვენ ხალხსაც ანგარიში არ გაუწია.

ჩვენი აზრით ვინც უნდა გზავნიდეს ევროპაში თავის ეკონომიურ აგენტებს მთავრობა, ცალკე სამინისტროები, ვაჭარ-მრეწველთა პალატა თუ რომელიმე საზოგადოებრივი დაწესებულება, საჭიროა, რომ აგენტებს ჰქონდეთ მიცემული გარკვეული დირექტივები, რამდენადაც შეიძლება კონკრეტიულ საკითხებად დასახული. ყველა დავალებასთან ერთად მათ უნდა ჰქონდეთ ვალდებულება თავის მოქმედების ანგარიშების წარდგენის და ანგარიშები შეიძლება იქიდგანაც იგზავნებოდეს პერიოდულად და აქ და დაბრუნებისასაც უნდა წარედგინებოდეს ჩვენს დაწესებულებებს და სპეციალ საზოგადოებებს წერილობით, ყოველნაირ პროსპექტებით და კატალოგებით, ცხრილებით, დიაგრამებით, სურათებით და სხვა.

იყო შემთხვევა, რომ ზოგიერთმა აგენტმა კიდევაც იუკადრისა, როდესაც ვსთხოვეთ (და არა მოვსთხოვეთ), მაგალითად ქართულ ტეხნიკურ საზო-

რეველი. 28. გამოქვეყნებულ მანიფესტში ებერტი სწერს: „ლიუტვიცი და კაპი მართვა-გამგეობისგან განზორებულ იქმნენ. სამეურნეო ცხოვრება, კვლავ აღდგენილი უნდა იქნეს. ამისთვის საჭიროა, მუშებმა უარი განაცხადონ საერთო გაფიცვებზე. ქვეყნისათვის მთავარი, საჭიროება ეს ნახშირის დამუშავება. მთავრობამ მთელის ძალით ხელი უნდა შეუწყოს მუშაობის განახლებას. მას თავის წმინდა მოვალეობათ მიაჩნია სასტიკად დასაჯოს ხალხის მოღალატეები, რომელნიც გამოიწვიეს საერთო გაფიცვები რეიხსკანცლერის მოადგილემ, შიფერმაც, გამოაქვეყნა მანიფესტი გერმანიის ხალხის მიმართ, რომელშიც ნათქვამია: „აჯანყება ჩაქრობილია ქვეყნის მეურნეობა კვლავ საგრძნობლად დაზარალდა. მთავრობა მოუწოდებს გერმანიის ხალხს მუშაობის განახლებლათ.

შეასრულოს თავის დაპირება. ჩვენ არ ჩავერევით გერმანიის პოლიტიკაში როგორიც უნდა იყოს ეს პოლიტიკა მაგრამ ეს კი ცხადია რომ ამ ქვეყნის მთავრობა რა სახისაც უნდა იყოს იგი ერთისა და იმავე გზას ადგია ჩვენ შესახებ. არ აასრულებს ხელშეკრულობას და მოითხოვს მის ხელმეორეთ განხილვას ორატორმა გაიხსენა გერმანიის წინააღმდეგობა ომის კანონების დარღვევა გაცემაზე, ის თავდასხმები, რომლის მსხვერპლს წარმოადგენენ მოკავშირეები, ნახშირის მიუწოდებლობა და იარაღის აყრის პირობის აუსრულებლობა, შემდეგ პარტუმ ილაპარაკა მოკავშირეთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ მარშან გვეუბნებოდნენ, განაცხადა მან, რომ შეერთებული შტატები ხელშეკრულობის რატიფიკაციას მოახდენს.

## ახალი ამბები

### მთავრობაში

**შუამდგომლობა ახალქალაქში დასახლების შესახებ.**

ბაკურიანის ხეობის 35 კომლმა შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა ისინი ახალქალაქის მაზრაში დაასახლონ, ვინაიდან ეხლანდელ ადგილზე მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიან. სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას.

**პირდაპირი გადასახადების ზოგიერთ ცვლილების კანონ-პროექტი.**

მარტის 24 ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის საბჭომ განიხილა პირდაპირი გადასახადების სისტემაში ზოგიერთ ცვლილების შეტანის საკითხი. ამ სხდომაზე მოასწრეს კანონ-პროექტის მხოლოდ ის ნაწილები, რომელიც შეეხება სახელმწიფო საადგილ-მამულო, საქალაქო უძრავ ქონებაზე სამრეწველო გადასახადების და ბეგრიდგან ის საკითხები, რომელიც შეეხება პირდაპირი გადასახადებს განაწილებას სახელმწიფოსა და ერობის შორის. კანონ-პროექტის განხილვა გრძელდება საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

## უცხოეთი

### სომხეთი

**სომხეთის საკითხი ელჩთა კონფერენციაზე.**

(საქ. დეპ. სააგ.)

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ელჩთა კონფერენციამ, რომელიც ხუთშაბათს ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, განიხილა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც კერძოთ სომხეთს შეეხება.

### რუსეთი

**ბოლშევიკების ცნობა.**

(საქ. დეპ. სააგ.)

უკანასკნელი ოფიციალური ცნობების მიხედვით დაჭერილია მაიკოპი და გროზნო ცნობილი ნავთის სამრეწველოები. ნოვოროსისკის ჩრდილო დასავლეთით 20 ვერსზე აღებულია სტანცია ნატუხარიცკაია.

სამხედრო ცნობა 26. დასავლეთის ფრონტი.. ოვრუჩ კოროსტენის რაიონში კოროსტენი სარნის რკინის გზასთან ჩვენ მტრის იერიშები მოიგერიეთ. ლეტიჩევის ჩრდილოეთით 25 ვერსზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. პოდოლიის კამენეცის რაიონში ქვმ. უშიცის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა.

**სამხრეთის ფრონტი.** პერეკოპის ჩრდილოეთით მტრის თვალსაჩინო ძალებთან ჩვენს ჯარს ბრძოლა აქვს.

**კავკასიის ფრონტი.** ჩვენი ჯარი ნოვოროსისკს უტევს. ეკატერინოდარის რაიონში ჩვენი ჯარი სტან. კრიმსკაიას უახლოვდება.

**გენ. იუდენიჩის დაპატიმრება ინგლისელების მიერ.**

ბოლშევიკური რადიო პსკოვიდან შემდეგს გადმოგვცემს:

„დანციგერ ცეიტუნგი“ იუწყება, რომ ქ. რიგაში ინგლისის მისიის მოთხოვნით დაუპატიმრებიათ გენერლები

### სხვა და სხვა ამბები

**სამართალში მიცემა**

გზათა დეპარტამენტის დირექტორის ინჟ. ბ. ჭიჭინაძის განკარგულებით სისხლის სამართალში იქმნენ მიცემულნი რკინის გზის აგენტები, რომელთაც ბრალითაც უკანასკნელ ხანს სამჯერ მოხდა მატარებლების დაჯახება.

**ჩრდილო კავკასიიდან გამოქცეულთა გაგზავნა**

საქართველოს რკინის გზათა სამმართველოს განკარგულებით სასწრაფოდ შეადგინეს 2 მატარებელი, რომლებითაც მცხეთიდან ფოთში გაიგზავნება (ყირიმში გასამგზავრებლად) განიარა-